



IBSU

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში

შერეული სწავლებისა და მისი მისი როლის სტუდენტების მიერ აღქმის
შესწავლა კათხვის უნარ-ჩვევების განვითარებასთან დაკავშირებით
ინგლისური ენის აკადემიური მიზნებით სწავლებისას (ინგლისური
როგორც უცხოური ენის საუნივერსიტეტო მოსამზადებელი პროგრამის
შემთხვევა)

უნალ ულკერ

სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერეტი განათლების მეცნიერებებში

თბილისი, 2019

სამეცნიერო
ხელმძღვანელი:

ნათელა დოლონაძე

(სახელი, გვარი)

(შავი ზრვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი,
დოქტორი)

(აკადემიური თანამდებობა)

მე ვადასტურებ, რომ ნაშრომი შეესაბამება დარგს, ხასიათდება სიახლით, მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულებით და წარმოდგენილია რომატიში, რომელიც განსაზღვრულია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ

(ხელმზრვანელის ხელმოწერა)

ექსპერტები (სახელი-გვარი და აკადემიური თანამდებობა):

1. ეკატერინე ფიფია, პროფესორი, დოქტორი _____


2. მაია ჩქოტუა, ასოცირებული პროფესორი, დოქტორი _____

ოპონენტები (სახელი-გვარი და აკადემიური თანამდებობა):

1. მადონა შელია, პროფესორი, დოქტორი _____

2. ირმა ბარბაქაძე, ასოცირებული პროფესორი, დოქტორი _____

3. ჰარუნ ილმაზ, ასოცირებული პროფესორი, დოქტორი _____



შესავალი

აქტუალობა

ამჟამად უცხოურ (განსაკუთრებით, ინგლისურ) ენაზე კითხვის შესაძლებლობა მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლების მქონე ყველა პირთათვის რამდენიმე მიზეზის გამო:

- ამ სწრაფად ცვალებად სამყაროში უწყვეტი განათლება აუცილებელია ნებისმიერი პროფესიისათვის, რადგან ინტერნეტში ნებისმიერი უახლესი პროფესიული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე;
- ამჟამად ურთიერთობა პროფესიულ სფეროში უმეტესად ინგლისურ ენაზე ხორციელდება. უმაღლესი განათლების მქონე პირმა უნდა შეძლოს არა მხოლოდ მიწეროს თავის კოლეგას სხვა ქვეყანაში, არამედ ასევე კარგად გაიგოს მისი წერილი;
- თუ უმაღლესი განათლების მქონე პირს სურვილი ექნება გააგრძელოს განათლება საზღვარგარეთ ან იმუშაოს საერთაშორისო კომპანიაში, მას დასჭირდება დიდი რაოდენობით მასალების / დოკუმენტაციის წაკითხვა ინგლისურ ენაზე.

სამწუხაროდ, სხვადასხვა საერთაშორისო შეფასების თანახმად, ბევრ ქვეყანაში კითხვის უნარ-ჩვევები არ არის სასურველ დონეზე, ზოგიერთ იმ ქვეყანაშიც კი, სადაც კითხვის უნარ-ჩვევების საშუალო დონე შესაბამისია, „ზოგიერთი 15 წლის ასაკის პიროვნება განიცდის კითხვის იმ უნარ-ჩვევების ნაკლებობას, რაც აუცილებელია თანამედროვე საზოგადოებაში საცხოვრებლად. კითხვის გზით მიღებული ცოდნა მჭიდროდაა დაკავშირებული თავისუფალი დროის იმ ოდენობასთან, რომელსაც სტუდენტები ხარჯავენ კითხვაზე, და მათ მიერ წაკითხული მასალების მრავალფეროვნებასთან“ (OECD, 2018). ზოგიერთი მონაცემებით (PISA, 2015), თურქეთი დასახელებულია იმ ქვეყანათა შორის, რომელიც აკმაყოფილებს მშობლიურ ენაზე კითხვის მინიმალურ მოთხოვნას (მინიმალური მაჩვენებელია 262 ქულა, თურქეთს აქვს საშუალო მაჩვენებელი

440 ქულა, რომელიც დაახლოებით B1 დონის ეკვივალენტურია, მაშინ როცა მაქსიმალური მაჩვენებელი არის 698 ქულა, რომელიც შეესაბამება C2 დონეს). არც ერაყი, არც საქართველო არ არიან იმ ქვეყანათა სიაში, რომელთა კითხვის უნარ-ჩვევები მშობლიურ ენაში აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს. თუ მშობლიური ენის დონე ასეთია, უცხოურ ენაზე კითხვის უნარ-ჩვევების დონე მითუმეტეს არ იქნება რელევანტური.

კითხვა რთული უნარია, იგი დროის მომცველია და ტექსტების კარგად გასააზრებლად მოითხოვს მდიდარ ლექსიკას და მის საფუძვლიან ცოდნას. ამ ფაქტის თანახმად, კითხვის მოტივაცია ძირითადად არ არის ძალიან მაღალი, განსაკუთრებით როცა იგი ეხება ქალაქდზე წარმოდგენილი მასალების კითხვას. მაქკენა, კეარ და ელსვორტი (McKenna, Kear & Ellsworth, 1995), მაგალითად, აღნიშნავენ, რომ დაწყებითი სკოლის ბავშვების კითხვის მოტივაცია საკმაოდ მაღალია, მაგრამ შემდეგ წლებთან ერთად იგი იკლებს.

არა მხოლოდ სტუდენტები არ არიან დიდად მოტივირებული ან წარმატებული კითხვაში, არამედ მასწავლებლები გრძნობენ, რომ მათ კითხვის სწავლების სფეროში სიახლეების არასაკმარისი ცოდნა აქვთ (Gunter, 2011). კითხვის შესწავლა სრულდება ტრადიციულად, ქალაქდზე, რასაც რეალურად არ შეაქვს წვლილი სტუდენტთა მოტივაციაში, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ თანამედროვე ტექნოლოგიებთან ურთიერთობას.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში კითხვის შესწავლა უმეტესად დაკავშირებული უნდა იყოს აკადემიური მიზნებით კითხვასთან. თუმცა, ინგლისურის მასწავლებლებს უმეტესად პრობლემები აქვთ როგორც აკადემიური ენის ცოდნასთან, ისე აკადემიური მიზნებისათვის ენის სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული კვლევის თემას ხდის აქტუალურს.

კვლევის პრობლემა / მიზანი

რამდენადაც კითხვის უნარ-ჩვევების დონე არადააკმაყოფილებელია, მაშინ როცა მათი როლი უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის დიდია, ეს არის პრობლემა, რომელიც უნდა

გადაიჭრას. დისერტაციის მიზანს წარმოადგენს გაარკვიოს შეუძლია თუ არა შერეულ სწავლებას გააუმჯობესოს სტუდენტების აკადემიური მიზნებისათვის ინგლისურის კითხვის უნარ-ჩვევების დონე და დააკავშიროს მათი მოტივაცია წაიკითხონ პროფესიული ტექსტები.

საკვლევი კითხვები

- უნივერსიტეტის სტუდენტების კითხვის უნარ-ჩვევებს შერეული სწავლება უფრო ეფექტურად ავითარებს თუ მათი განვითარებისადმი კლასიკური მიდგომა?
- როგორ აღიქვამს ინგლისურის როგორც უცხოური ენის უნივერსიტეტის სტუდენტი კითხვის სწავლა-სწავლების შერეულ და ტრადიციულ გზებს?

სიახლე

ბოლო წლებში მაღალი ტექნოლოგიების წინსვლამ სტიმული მისცა მკვლევარებს გამოეკვლიათ შერეული სწავლება (Dziuban et al., 2018; Ghazizadeh & Fatemipour, 2017; Kintu, 2017). არსებობს ერაყში კითხვის სწავლებასთან დაკავშირებული რამდენიმე დისერტაცია (Kanar, 2013; Kavlu, 2016; Yahci, 2016), მაგრამ არცერთი მათგანი არაა დაკავშირებული ინგლისურის როგორც უცხოური ენის შერეული სწავლების მეთოდით სწავლებასთან და აკადემიური მიზნებისათვის ინგლისურად კითხვასთან. წარმოდგენილი კვლევა გააანალიზებს აკადემიური მიზნებისათვის ინგლისურად კითხვის სწავლა-სწავლებისადმი სხვადასხვა მიდგომას და შემოგვთავაზებს შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და აქტივობების მრავალფეროვნებას. უფრო მეტიც, ეს იქნება იშვიკის უნივერსიტეტში შესრულებული პირველი ნაშრომი, რომელიც დაკავშირებულია კითხვის შერეულ სწავლებასთან.

პრაქტიკული ღირებულება

შემოთავაზებული პრაქტიკული მასალები მნიშვნელოვნად გაზრდის სტუდენტების კითხვის კომპეტენციას. ასე რომ, კვლევის პრაქტიკული ღირებულება დაკავშირებულია აკადემიური მიზნებისათვის ინგლისურად კითხვის შერეული სწავლების აქტივობების შემუშავება-დახვეწასთან. მკვლევარის მიერ შემუშავებული მასალები შეიძლება

გამოყენებული იქნას ინგლისურის როგორც უცხოური ენის პროგრამის მომზადებაში ჩართული პირების, მასწავლებლების, სტუდენტების, სახელმძღვანელოების ავტორების და კომპიუტერული სასწავლო პროგრამის დიზაინერების მიერ.

თეორიული დირებულება

კვლევის თეორიული საფუძვლებია:

- ფსიქოლოგიური თეორიები: ბიჰევიორიზმი (Skinner, 1974), კონსტრუქტივიზმი (Wadsworth, 2004), სწავლის სოციალური თეორია (Bandura, 1972), სოციოკულტურული თეორია (Vygotsky, 1979) და ინფორმაციის დამუშავების თეორია (Atkinson & Shiffrin, 1968);
- პედაგოგიური მიდგომები: სტუდენტზე ორიენტირებული, ინტერაქტიური, პროექტებზე დაფუძნებული და კოოპერატიული / თანამშრომლობითი (დაყრდნობით Dewey, 2008-ზე);
- ქრაშენის (Krashen, 1989) ინფორმაციის მიწოდების ჰიპოთეზა;
- კომუნიკაციური, ინტერაქტიური და ავთენტური მიდგომა ენის სწავლებისადმი (Richards, 2006);
- კითხვის თეორიები (Goodman, 2003; Rumelhart & McClelland, 1981; Rumelhart & McClelland, 1981);
- კომპიუტერის დახმარებით სწავლა-სწავლებისა (Chiaráin & Ní Chasaide, 2015, Underwood, 1984) და შერეული სწავლების (Horn & Staker, 2011) თეორიები.

კითხვის არსებულ თეორიებზე დაყრდნობით დისერტაცია ავითარებს შეხედულებებს აკადემიური მიზნებისათვის ინგლისურად კითხვის სწავლების და ეფექტური აქტივობების კომპლექსის შესახებ, რათა გაიზარდოს სტუდენტების კითხვის კომპეტენცია.

ჰიპოთეზები

თუ ინგლისურის როგორც უცხოური ენის უნივერსიტეტის მასწავლებლები დანერგავენ შერეული სწავლების მიდგომას აკადემიური კითხვის სასწავლებლად, სტუდენტთა კითხვის უნარ-ჩვევების დონე მნიშვნელოვნად გაიზარდება. სტუდენტებს ექნებათ:

- კითხვის მოტივაციის უფრო მაღალი დონე;
- აკადემიური მიზნებისათვის ინგლისურად კითხვის უფრო მაღალი აკადემიური მიღწევები.

კვლევის მეთოდები

დისერტაციაში გამოყენებული მეთოდები ორივენაირია - ხარისხობრივი და რაოდენობრივი:

- საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურის ანალიზი;
- სტუდენტთა და ლექტორთა ანკეტირება (აზრის გამოკითხვა);
- ექსპერიმენტი;
- პრე-ტესტი, ტესტი, პოსტ-ტესტი და გადავადებული ტესტი საექსპერიმენტო შედეგების შეფასების მიზნით;
- მოპოვებული მონაცემების სტატისტიკური დამუშავება.

დისერტაციის სტრუქტურა

დისერტაცია მოიცავს შესავალს, ოთხ თავს, დასკვნა-რეკომენდაციებს და ცხრა დანართს. პირველი თავი ეხება შერეულ სწავლებას და მის გამოყენებას ზოგადად განათლებაში და აკადემიური მიზნით ინგლისური ენის შესწავლაში. მეორე თავი განსაზღვრავს, თუ როგორ მიიღწევა კითხვის უანრ-ჩვევების ზოგადად და განსაკუთრებით აკადემიური მიზნით ინგლისურად კითხვის კომპეტენციის რელევანტური დონე. მესამე თავი მიზნად ისახავს აკადემიური მიზნით ინგლისური ენის შერეული სწავლების მოდელის განვითარებას. მეოთხე თავი აღწერს ავტორის მიერ ჩატარებულ კვლევას. დისერტაციაში თვრამეტი ცხრილი და შვიდი ფიგურაა.


პირველი თავი. ლიტერატურის მომთხილვა - შერეული სწავლება ზოგადად განათლებაში და განსაკუთრებით ინგლისურის როგორც უცხოური ენის სწავლებაში

პირველი თავი მოიცავს განათლების ისტორიულ მიმოხილვას განათლებაში ტექნიკური საშუალებების გამოყენების თვალსაზრისით, შერეული სწავლების განსაზღვრებას, შერეული სწავლების თეორიულ საფუძვლებს (ფსიქოლოგიური და ლინგვო-დიდაქტიკური თეორიები), შერეული სწავლების ჩამოყალიბების პროცესს / ნაბიჯებს, შერეულ სწავლებას და სტუდენტის აკადემიური მიღწევას შორის კავშირს, შერეული სწავლების აღქმას მასწავლებლისა და სტუდენტების მიერ. ინგლისურის როგორც უცხოური ენის სწავლება განხილულია ცალკე ქვე-თავში.

მაშინ როცა კომპიუტერთან დაკავშირებული სწავლება დაიწყო 1960-იან წლებში და ფართოდ გავრცელდა 1980-90-იან წლებში, ტერმინი „შერეული სწავლება“ გამოიყენება 1990-იანი წლების ბოლოდან. მას შემდეგ შემოთავაზებულ იქნა ბევრი განმარტება. თუმცა არსებობს აზრთა სხვაობა მის განმარტებასთან დაკავშირებით, ეს შეუთანხმებლობა საშუალებას გვაძლევს ფართოდ გავიაზროთ ეს ტერმინი, რაც წარმოადგენს უპირატესობას, რამდენადაც ბევრი ადამიანი მიმართავს და იკვლევს მას. წარმოდგენილ დისერტაციაში გამოყენებული იქნება შემდეგი განსაზღვრება: *შერეული სწავლება არის ტრადიციული (ქალაქდიდან) და კომპიუტერთან (ან სხვა ელექტრონულ / ციფრულ ტექნიკურ მოწყობილობასთან) დაკავშირებული სწავლების ნარევის სახეობა, რომელიც ნაწილობრივ შესრულებულია კლასში და ნაწილობრივ - კლასის გარეთ (კომპიუტერულ ლაბორატორიაში, სახლში ან სადმე სხვაგან), ონლაინ და ოფლაინ (იხილეთ ფიგურა 1.1).* შერეული სწავლების ჩამოყალიბებისას აუცილებელია მხედველობაში მიღებულ იქნას:

- რა მოცულობის სამუშაო (და რომელი აქტივობები) შესრულდება ქალაქდზე და რა მოცულობით (და რომელი) - ტექნოლოგიების გამოყენებით?
- რომელი აქტივობა იქნება უფრო ეფექტური პირისპირ და რომელი - დისტანციურ რეჟიმში?
- რომელი ტექნოლოგიის დახმარებით შესრულებული აქტივობა იქნება უფრო ეფექტური - ონლაინ თუ ოფლაინ ?
- რომელი აქტივობა შესრულდება სახლში (უფრო ზუსტად, კლასის გარეთ) და რომელი კლასში?

სურათი 1.4. შერეული სწავლება და სწავლა



(მკვლევარის მიერ შედგენილი)

სხვადასხვა საგნებისადმი შერეული სწავლების გამოყენების შესახებ აქამდის ჩატარებული კვლევა, მათ შორის ინგლისურ ენასთან დაკავშირებით, ძირითადად დადებითი იყო, თუმცა მასში ჩანდა, რომ შერეული სწავლების გავლენა სწავლის შედეგებსა და სტუდენტების მოტივაციაზე შეიძლება დამოკიდებული იყოს მასწავლებლის კვალიფიკაციაზე და მის სურვილზე გამოიყენოს იგი, სტუდენტების ტექნიკურ უნარებზე და მზაობაზე მის მოხმარებასთან დაკავშირებით, აგრეთვე შერეულ სწავლებასთან დაკავშირებულ პროგრამული უზრუნველყოფის ხარისხზე. ასე რომ, შერეული სწავლების უფრო ეფექტურად გამოყენების მინით აუცილებელია დავარწმუნოთ პედაგოგები შერეული სწავლების სარგებლობაში, ჩაუტაროთ კურსი მასწავლებლებს (თეორიულად - გავაცნოთ გამოყენების მეთოდები და პრაქტიკულად - გამოვუმუშაოთ ტექნიკური და საკლასო მენეჯმენტის უნარები) და სტუდენტებს (გამოვუმუშაოთ ტექნიკური უნარები), რათა მათ გამოიყენონ ტექნოლოგიები სწავლებისა და სწავლისათვის. საგანმანათლებლო მიზნებისათვის ასევე მნიშვნელოვანია განვითარდეს და შეირჩეს ეფექტური პროგრამული უზრუნველყოფა.

მეორე თავი. ლიტერატურის მიმოხილვა - აკადემიური კითხვის უნარ-ჩვევების განვითარება

ეს თავი განიხილავს კითხვის როლს კომუნიკაციისა და განათლებაში, კითხვის უნარ-ჩვევების ფსიქოლინგვისტურ ბუნებას, კითხვისას ტექსტის გააზრების სტრატეგიებს, კრიტიკული კითხვის განსაზღვრებას, კითხვის ამოცანებსა და აქტივობებს (ქალაქდზე და შერეული სწავლის დროს), კითხვას ზოგადი და აკადემიური მიზნებისათვის, კითხვის უნარ-ჩვევების შეფასებას.

დაწერილი სიტყვა ყოველდღიურად გვხვდება ყოველ ნაბიჯზე, ცხოვრების აბსოლუტურად ყველა სფეროში. სიტყვას შეუძლია შეგვაცხუნოს ან იმედით აგვავესოს, დაგვჩაგროს ან გაგვართოს, ავად გაგვხადოს ან გაგვკურნოს. ნებისმიერ ეტაპზე, ჩვენ როგორც განათლებული საზოგადოების წევრები ვაწყდებით დაწერილ სიმბოლოებს, რომლებზეც მნიშვნელოვანწილად ვართ დამოკიდებულები.

უცხოური ენის ბევრ შემსწავლელთათვის კითხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბევრი მიზეზის გამო. ქვემოთ მოყვანილი წარმოადგენს რამდენიმე ფართოდ გავრცელებულს:

1. დაწერილი ტექსტი შემსწავლელთათვის წარმოადგენს ენის (გრამატიკა, ლექსიკა და ა. შ.) ცოდნის კარგ წყაროს, რომელიც გამოიყენება არა მხოლოდ შემსწავლელთა კითხვის უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად, არამედ წერის, საუბრისა და აუდირების უნარ-ჩვევების გასავითარებლად. გარდა ამისა, ცოდნა ენის მატარებელი ერის (ერების) კულტურის (რომელიც ფართოდ აისახება დაწერილი სიტყვით) შესახებ შემსწავლელს ეხმარება ტექსტის უკეთესი გაგების (გააზრების) მიღწევაში.
2. ამჟამად მოგზაურობა (სიამოვნებისთვის, საქმიანი, საგანმანათლებლო, ჯანმრთელობის მიზნით და სხვ.) წარმოადგენს ნორმას, რომელიც ბევრი ადამიანისთვის ადვილად მისაღწევია. საბაზო ენობრივი შესაძლებლობების გარეშე მოგზაურობა, ჩვეულებრივ, ძალიან ძნელია განსახორციელებლად, ასე რომ არსებითად მნიშვნელოვანია დაწერილი ტექსტის / ინფორმაციის / სიმბოლოების ამოცნობის სულ ცოტა ელემენტარული უნარი.

3. ბევრი პროფესია მოითხოვს უცხოურ ენაზე კითხვის უნარს, მაგალითად: პოლიტიკა, დიპლომატია, პილოტის სამუშაო, საჰაერო-საგზაო კონტროლი, სამხედრო სამსახური და სხვ. ამ პროფესიების წარმომადგენლებს სხვა ქვეყნების ადამიანებთან (რომელთა ენა შეიძლება განსხვავდებოდეს) კავშირი აქვთ ინგლისურ ენაზე, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო კომუნიკაციის ენას.
4. ფსიქოლინგვისტები გვთავაზობენ კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებისა და გამოყენების სამ მეთოდს: ქვევიდან ზევით (ასოები - ბგერები - სიტყვები - მნიშვნელობა), ზემოდან ქვემოთ (მნიშვნელობა - სინტაქსი - სიტყვები - ასოები - ბგერები), და ინტერაქტიური. მიდგომა შესარჩევია შემდეგის გათვალისწინებით: კითხვის უნარ-ჩვევების განვითარების დონე, ზოგადი ცოდნა, თემის ცოდნა, ტექსტის ლინგვისტური თუ შინაარსობრივი სირთულე. დღესდღეობით ინტერაქტიური მოდელი განიხილება როგორც ყველაზე შესაფერისი, ამიტომაც სასურველი მისი გამოყენება კითხვის სწავლებისას.
5. უცხოური ენის შემსწავლელებიდან ძალიან ბევრია ისეთი, ვისთვისაც კითხვა წარმოადგენს ძალიან მნიშვნელოვან მიზანს. მათი სურვილია შეძლონ კითხვა სიამოვნებისთვის, განათლების მისაღებად ან კარიერისთვის. ფაქტობრივად, აკეთებენ ამას შემსწავლელები შეგნებულად თუ ქვეცნობიერად, აკადემიური მიზნებისათვის ინგლისური ენის შემსწავლელთა უმეტესობას ძირითადად სურს ეფექტიურად განივითაროს კითხვის უნარ-ჩვევები (Grabe, 2002). ნებისმიერ აკადემიურ დაწესებულებაში კითხვა არის ის, რასაც სტუდენტები აკეთებენ უმეტესად პროგრამის დასაწყისიდან ბოლომდე. შეუძლებელია სამეცნიერო კვლევის წარმოდგენა კითხვისა და ყველა იმ აუცილებელი სტრატეგიის გარეშე, რაც გამოიყენება დაწერილი მასალის გააზრების, ანალიზის თუ სინთეზისათვის.
6. ბევრ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლასთან დაკავშირებით სტუდენტების მოტივაციის მიზნით გამოიყენება საპროექტო სამუშაო, რომლის შესასრულებლადაც სტუდენტები თვითონ მოიძიებენ მასალას. იმ იმფორმაციის მთავარი წყარო, რომელსაც სტუდენტები იყენებენ თავიანთი საპროექტო სამუშაოებისათვის, არის დაწერილი მასალა, ასე რომ მათ ესაჭიროებათ არა

მხოლოდ კითხვის უნარ-ჩვევები, არამედ წაკითხულის ანალიზის, გაფილტვრის, სინთეზის, დახარისხებისა და სხვ. უნარები. ამ შემთხვევაში, საპროექტო სამუშაო გვეხმარება სტუდენტთა აკადემიური განვითარებისათვის აუცილებელი კითხვის უნარ-ჩვევების ფორმირებაში.

ამჟამად მეცნიერები ხაზს უსვამენ ინგლისური ენის სწავლების პროცესში კითხვის სტრატეგიების გამოყენების მნიშვნელოვნობას (Renandya & Jacobs, 2002). მათი აზრით, ენის შემსწავლელთა კითხვის უნარ-ჩვევებმა და სტრატეგიებმა შეიძლება უზრუნველყოს მათთვის საჭირო ინფორმაცია და დაეხმაროს მათ გამოიტანონ ტექსტიდან პასუხი არა მარტო *რა* და *როგორ*, არამედ *რატომ* კითხვაზე პასუხი, რომლებიც მოცემულია ტექსტში. მასწავლებლები / სტუდენტები თავიანთი საჭიროებების, მიზნების, წერილობითი ტექსტის ტიპის მიხედვით ირჩევენ ყველაზე უფრო შესაფერის სტრატეგიებს და არჩევანმა შეიძლება იმერყეოს ერთი მკითხველიდან / სიტუაციიდან / დროიდან / ვითარებიდან მეორემდე.

ამჟამად ხელმისაწვდომი ინფორმაციის უზარმაზარი ნაკადიდან ადვილი ნამდვილად არ არის სასწავლო მასალების შერცევა. სწორედ ამიტომაც, რომ დახვეწას მოითხოვს შემსწავლელთა კრიტიკული კითხვის უნარი, რაც თავის მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია. ამ მიზნის მიღწევა შეიძლება სტუდენტების სხვადასხვა საქმიანობასა და ამოცანებში ჩართვით წერილობით ტექსტებთან მუშაობის პროცესში, რაც შემსწავლელებს დაეხმარება მათი უნარების დახვეწაში, რადგან 'პრაქტიკა ყველაფრის ოსტატია' (აუგუსტუს ოქტავიუსი (63 წელი ძველი წელთაღრიცხვით-14 ჩვენი წელთაღრიცხვით, ციტირებულია Juli, 2010).

მესამე თავი. აკადემიური კითხვის შერეული სწავლების ეფექტური მოდელის შემუშავება

ეს თავი მიძღვნილია აკადემიური მიზნებისთვის ინგლისური ენის შერეული სწავლების ეფექტური მოდელის განვითარებასა და დანერგვას. ეს თავი ასევე განიხილავს საკლასო მართვის საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია მოდელის რეალიზაციასთან.

ცხრილი 3.1: კითხვის აქტივობების განაწილება შერეულ სწავლაში

კითხვის ეტაპი	დავალებების ნიმუშები	პირისპირ	ოფლაინ	ონლაინ/ოფლაინ გამოყენების მეთოდები
კითხვის-წინა	<ul style="list-style-type: none"> ტექსტის თემის გამოცნობა ილუსტრაციების, ცხრილების, ნახაზების ან სათაურების გამოყენებით 			ედმოდოს გამოკითხვა/ ქვიზი, გუგლის დოკუმენტები, ბლოგი, და სხვა
	<ul style="list-style-type: none"> ჯგუფური განხილვა მოცემულ თემაზე 			ედმოდო გამოკითხვა/ ქვიზი, გუგლის დოკუმენტი, ბლოგი და სხვა
	<ul style="list-style-type: none"> ვცადოთ გავარკვიოთ რას იტყვის ტექსტი 			ედმოდო გამოკითხვა/ ქვიზი, გუგლის დოკუმენტი, ბლოგი და სხვა.
	<ul style="list-style-type: none"> ისეთი კითხვების დაწერა, რომელზე პასუხის გაცემაც შეიძლება ტექსტიდან 			ედმოდო პოლ, გუგლ ბლოგი, ფიერ დექ და სხვა
	<ul style="list-style-type: none"> შესასწავლი ლექსიკონი 			გუგლ დოკუმენტი
	<ul style="list-style-type: none"> ადრე წაკითხული ტექსტიდან ინფორმაციის ასახვა ან განხილვა ახალი ტექსტის ფონზე 			

	<ul style="list-style-type: none"> • თემასთან დაკავშირებული ვიდეოს ყურება ან ჩაწერილი მასალის მოსმენა 			იუთუბი, მაუწყებლობა, VOA და სხვა
	<ul style="list-style-type: none"> • სხვა 			
კითხვისას	<ul style="list-style-type: none"> • ზოგიერთი სპეციფიკური ინფორმაციის (თარიღები, რიცხვები, სახელები და სხვა) მოძებნა 			
	<ul style="list-style-type: none"> • დათვალიერებითი კითხვა (აზრის ძირითადი შინაარსის გამოტანა) 			
	<ul style="list-style-type: none"> • კითხვებზე პასუხების გაცემა 			ედმოდო ფოლ, ბლოგი, გუგლ დოკუმენტები და სხვა
	<ul style="list-style-type: none"> • შეისწავლოს ემოციები და ძირითადი სიმბოლოების დამოკიდებულება 			
	<ul style="list-style-type: none"> • წინადადებების დამუშავება ტექსტის ინფორმაციის გამოყენებით 			ედმოდო ფოლ/ქვიზი გუგლ დოკუმენტები, ბლოგი და სხვა.
	<ul style="list-style-type: none"> • გამოტოვებული ადგილების შევსება ცხრილში, რუკაზე, სურათზე და ასე შემდეგ 			ედმოდო ფოლ/ქვიზი გუგლ დოკუმენტები

	<ul style="list-style-type: none"> • კრეატიული სტუდენტების კითხვები (ტექსტზე დაფუძნებით) და თითოეულისათვის კითხვის დასმა 			ედმოდო ფოლ/ქვიზი, გუგლ დოკუმენტები, გუგლ ბლოგი, ფლიპ გრიდი და სხვა.
	<ul style="list-style-type: none"> • სირთულეების განმსაზღვრელი წყაროები და გადაჭრის გზა 			გუგლ ჰენგაუთი, ედმოდო მესეჯინგი და სხვა
	<ul style="list-style-type: none"> • ვარაუდის ჩაწერა იმის შესახებ თუ რა მოხდება შემდეგში 			ედმოდო ფოლ/ქვიზი გუგლ დოკუმენტები, გუგლ ბლოგი და სხვა.
	<ul style="list-style-type: none"> • სხვა 			
კითხვის-შემდგომი	<ul style="list-style-type: none"> • იმის განხილვა, თუ რა იყო ახალი ან საინტერესო ტექსტში 			ედმოდო ფოლ/ქვიზი, გუგლ დოკუმენტები, გუგლ ბლოგი, ფლიპ გრიდი და სხვა.
	<ul style="list-style-type: none"> • დებატები სადავო თემებზე 			
	<ul style="list-style-type: none"> • მოცემული ინფორმაციის შედარება სტუდენტების საკუთარ კულტურასთან / ტრადიციებთან / ნორმებთან / 			

	ზნობასთან და სხვა			
	ტექსტის შეჯამება (ზეპირად ან წერილობით)			ედმოდო პოლ/ქვიზი, გუგლ დოკუმენტები, გუგლ ბლოგი და სხვა
	სხვა			

აკადემიური ტექსტების კითხვა, იქნება ეს ტრადიციული გზით თუ ინტერნეტის მეშვეობით, შეიძლება საკმაოდ მომაბეზრებელი იყოს სტუდენტებისთვის, მაშინაც კი თუ ის მიმდინარეობს საკმაოდ მშვიდ გარემოში. ტექნოლოგიების გამოყენების მიზანი არის სტუდენტების ჩართულობა ეფექტურ კითხვაში და მოპოვებული ცოდნის თანატოლებთან გაზიარება. არ არსებობს ერთი რეცეფტი კითხვის ეფექტური სწავლებისთვის. დავალების არჩევანი და მისი სტილი შეიძლება ერთმანეთისგან განსხვავდებოდეს სიტუაციის, სტუდენტთა საჭიროებების, ტექსტის ხასიათის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ტრადიციული და ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარებული დავალებების შერევა მასწავლებელს მისცემს საშუალებას დაზოგოს დრო პირისპირი დისკუსიებისათვის იმის ხარჯზე, რომ შეასრულებინებს სტუდენტებს უფრო მექანიკური ხასიათის დავალებებს კლასის გარეთ.

მეოთხე თავი. კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

მეოთხე თავი აღწერს კვლევის საგანს, მონაწილეებს, მიზნებს და პროცედურებს. მასში წარმოდგენილია მოპოვებული მონაცემები, მიღებული შედეგები გაანალიზებულია და დასკვნები არის შეთავაზებული.

მიმდინარე კვლევა ჩატარდა ენის მოსამზადებელ სკოლაში, იმიკის უნივერსიტეტში, ერბილი, ერაყი, 24 კვირის მანძილზე 2016-2017 აკადემიური წელს.

მიმდინარე კვლევისთვის ექსპერიმენტი დაიწყო დეკემბერში და დამთავრდა ივნისის დასაწყისში. კვლევაში მონაწილეობდა იმიკის უნივერსიტეტის მოსამზადებელი სკოლის დაახლოებით 100 სტუდენტი. ერთ ჯგუფში საშუალოდ 20 სტუდენტი იყო. ამ კვლევის სუბიექტს წარმოადგენდნენ სტუდენტები, რომლებმაც მოიპოვეს A2 დონე ტესტში, რამდენადაც ეს იყო მინიმალური დონე, რომელზეც სტუდენტებს შეეძლოთ აკადემიური ტექსტის შინაარსის გაგება. მიღებულ იყო რა სკოლისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციისაგან ოფიციალური ნებართვა ექსპერიმენტთან დაკავშირებით, A2 დონის სტუდენტები (ოქსფორდ დონის განმსაზღვრელი ონლაინ ტესტის შედეგების თანახმად, ისე რომ მათი დონეები აკადემიური წლის დასაწყისში თითქმის ერთნაირი იყო) იყვნენ შემთხვევითობის პრინციპით განაწილებული ჯგუფებში. ექსპერიმენტისათვის ამორჩეულ იქნა ორი ჯგუფი, ერთ-ერთი ამავე პრინციპზე დაყრდნობით იყო არჩეული საკონტროლო ჯგუფად, ორი კი - ექსპერიმენტულ ჯგუფებად. ყველა სტუდენტმა გამოთქვა თანხმობა კვლევაში მონაწილეობის მიღებაზე. მათ აცნობეს, რომ კვლევის შედეგები იქნებოდა ანონიმური და არანაირ ზიანს არ მიაყენებდა მათ. მათ ასევე აცნობეს, რომ სურვილის შემთხვევაში შეეძლოთ ნებისმიერ დროს კვლევაში მონაწილეობის შეწყვეტა.

19 სტუდენტი იყო ექსპერიმენტულ ჯგუფში და 21 - საკონტროლო ჯგუფში. ასე რომ ჯამში 40 სტუდენტი მონაწილეობდა ექსპერიმენტში. თავიდან იყო 43 სტუდენტი, რომელიც დათანხმდა კვლევაში მონაწილეობაზე, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო სამმა სტუდენტმა ვერ მიიღო მონაწილეობა პრეტესტში, ტესტსა თუ შემდგომ ტესტში, ამიტომ მათი შედეგები არ იქნა მიღებული მხედველობაში სტატისტიკური ანალიზისას. ხრილი 4.1 წარმოადგენს საკონტროლო და პირველ ექსპერიმენტულ ჯგუფში მოპოვებულ საშუალო შედეგებს.

ცხრილი 4.1 საკონტროლო ჯგუფი და პირველი ექსპერიმენტული ჯგუფი

	ჯგუფი	N	საშუალო	სტანდარტული გადახრა	საშუალო ცდომილება
პრეტესტი	საკონტროლო	21	55,14	3,554	0,775
	ჯგუფი	19	55,37	4,633	1,063
	პირველი ექსპერიმენტული ჯგუფი				
ტესტი 1	საკონტროლო	21	58,95	4,447	0,997
	ჯგუფი	19	60,95	3,965	0,910
	პირველი ექსპერიმენტული ჯგუფი				
ტესტი 2	საკონტროლო	21	64,43	4,214	0,920
	ჯგუფი	19	66,74	4,54	1,136
	პირველი ექსპერიმენტული ჯგუფი				
პოსტ-ტესტი	საკონტროლო	21	68,95	3,801	0,829
	ჯგუფი	19	71,89	4,630	1,062
	პირველი ექსპერიმენტული ჯგუფი				
გადადებული პოსტ-ტესტი	საკონტროლო	21	66,81	4,020	0,877
	ჯგუფი	19	70,32	4,989	1,145
	პირველი ექსპერიმენტული ჯგუფი				

შესაძლებელია იმის დანახვა, რომ ჯგუფების წინასწარი გამოცდების შედეგები თითქმის თანაბარია: 55,14 საკონტროლოში და 55,37 - პირველ ექსპერიმენტულში. ყოველ მომდევნო ეტაპზე ექსპერიმენტული ჯგუფის შედეგები ცოტათი უკეთესი იყო, ვიდრე საკონტროლო ჯგუფის, ტესტის შემდგომი შედეგები გვიჩვენებს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას პირველ ექსპერიმენტულ ჯგუფში (55,37 → 71,89) და ნელ ზრდას

საკონტროლო ჯგუფში (55,14→68,95). გადავადებულ ტესტში ორივე ჯგუფმა აჩვენა შემცირებული შედეგები, მაგრამ დიდად არა: 71,89→70,32 პირველ ექსპერიმენტულ და 68,95→66,81 - საკონტროლო ჯგუფში, ექსპერიმენტული ჯგუფის შედეგები შემცირდა ნაკლებად, რამაც გამოავლინა უფრო მეტი მდგრადობა მათი შედეგებისა. იმის საჩვენებლად, რომ ეს განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, დამოუკიდებელ ნიმუშთა ტესტი ჩატარდა. პრეტესტის შედეგები (sig.= 0.863 / 0.865 >0.05) აჩვენებს, რომ ჯგუფების შედეგებს შორის განსხვავება არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. შემდეგ ეს მაჩვენებელი კლებულობა (0.146/0.143 პირველი შუალედური ტესტის დროს და 0.120/0.123 მეორე შუალედური ტესტის დროს), მაგრამ მაინც არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. ხოლო პოსტ-ტესტშიც (0.034/ 0.036) და გადავადებულ ტესტშიც (0.019/0.020) სხვაობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ხდება (<0.05).

ცხრილი 4.2. დამოუკიდებელ ნიმუშთა ტესტი (CG & EG1)

	ვარიაციების ტოლობის ლევენის ტესტი		ტ-ტესტი საშუალო შედეგების ტოლობაზე						
	F	Sig	t	df	Sig (2 tailed)	საშუალო განსხვავება	სტანდარტული ცდომილება	95% ინტერვალი განსხვავების	
								ქვედა	ზედა
პრეტესტი: თანაბრად მიჩნეული ვარიაცია;									
თანაბრად არ-მიჩნეული ვარიაცია	1,21	0, 27	-0,174	38	0,863	-0,226	1,298	2,854	2,403
	7	7	0.171	33.674	0,865	-0,226	1.316	2.900	2.449

შუალედური ტესტი 1: თანაბრად მიჩნეული ვარიაცია; თანაბრად არ- მიჩნეული ვარიაცია	0,401	0,530	-1.485	38	0,146	- 1.995		1,343	4,714
შუალედური ტესტი 2: თანაბრად მიჩნეული ვარიაცია; თანაბრად არ- მიჩნეული ვარიაცია	0.388	0,537	-1.592	38	0,120	-2,308	1,450	5,243	0 .627
შუალედური ტესტი 2: თანაბრად მიჩნეული ვარიაცია; თანაბრად არ- მიჩნეული ვარიაცია			- 1.579	35.565	0.123	-2,308	1,462	5,274	0.658
პოსტ-ტესტი: თანაბრად მიჩნეული ვარიაცია; თანაბრად არ- მიჩნეული ვარიაცია	1,085	0.304	-2,205						
პოსტ-ტესტი: თანაბრად მიჩნეული ვარიაცია; თანაბრად არ- მიჩნეული ვარიაცია			-2,183						
გადადებული პოსტ-ტესტი თანაბრად მიჩნეული ვარიაცია; თანაბრად არ- მიჩნეული ვარიაცია			- 2,458	38	0,019	-3,506	1,427	6,394	-0,618
გადადებული პოსტ-ტესტი თანაბრად მიჩნეული ვარიაცია; თანაბრად არ- მიჩნეული ვარიაცია			-2,431	34.609	0,020	-3,506	1,442	6,435	-0,537

ანალოგიურად შევადარეთ საკონტროლო და მეორე ექსპერიმენტული ჯგუფი.

ცხრილი 4.3. საკონტროლო ჯგუფი და მეორე ექსპერიმენტული ჯგუფი

	ჯგუფი	N	საშუალო	სტანდარტული გადახრა
პრეტესტი:				
საკონტროლო ჯგუფი	21	55,14	3,554	0,775
მე-2 ექსპერიმენტული ჯგუფი	20	55,75	4,833	1,081
შუალედური ტესტი 1:				
საკონტროლო ჯგუფი	21	58,95	4,447	0,977
მე-2 ექსპერიმენტული ჯგუფი	20	59,60	4,570	1,022
შუალედური ტესტი 2:				
საკონტროლო ჯგუფი	21	64,43	4,214	0,920
მე-3 ექსპერიმენტული ჯგუფი	20	67,90	4,315	0,965
პოსტ-ტესტი:				
საკონტროლო ჯგუფი	21	68,95	3,801	0,829
მე-3 ექსპერიმენტული ჯგუფი	20	75,10	5,675	1,269
გადადებული პოსტ-ტესტი:				
საკონტროლო ჯგუფი	21	66,81	4,020	0,877
მე-ექსპერიმენტული ჯგუფი	20	73,90	5,656	1,265

როგორც ჩანს, ჯგუფებში პრეტესტების შედეგები თითქმის თანაბარია: 55,14 საკონტროლო ჯგუფში და 55,75 ექსპერიმენტულ ჯგუფში. თითოეულ შემდეგ ეტაპზე ექსპერიმენტული ჯგუფი ავლენს ცოტათი უკეთეს შედეგს ვიდრე საკონტროლო ჯგუფი, ტესტის შემდგომი შედეგები კი მნიშვნელოვან გაუმჯობესებას აჩვენებენ ექსპერიმენტულ ჯგუფში (55,75→ 75,10) და საკონტროლო ჯგუფში კი მცირეოდენ ზრდას (55,14 → 68,95). გადავადებულ ტესტში ორივე ჯგუფმა შეამცირა შედეგები, მაგრამ ძალიან არა: 75,10 → 73,90 და 68,95 → 66.81 საკონტროლო ჯგუფში. ექსპერიმენტულ ჯგუფში შედეგები შემცირდა ნაკლებად, რაც ავლენს ამ ჯგუფში შედეგების უფრო დიდ მდგრადობას. იმის საჩვენებლად, თუ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ეს განსხვავება,

დამოუკიდებელ ნიმუშთა ტესტი ჩატარდა. აქ უკვე სტატისტიკური განსხვავება მიღწეულია მეორე შუალედური ტესტის დროს ($0.013 < 0.05$), მასასადამე, ამ ეტაპიდან მეორე ექსპერიმენტული ჯგუფის შედეგები სტატისტიკურად უმჯობესია, ვიდრე საკონტროლოსი.

ცხრილი 4.4. დამოუკიდებელ ნიმუშთა ტესტი (CG & EG2)

	ვარიაციების ტოლობის ლევენის ტესტი		ტ-ტესტი საშუალო შედეგების ტოლობაზე						
	F	Sig	t	df	Sig (2 tailed)	საშუალო განსხვავება	სტანდარტული ცდომილებათა სხვაობა	95% ინტერვალი განსხვავებისა	
								ქვედა	ზედა
პრეტესტი: თანაბრად მიჩნეული ვარიაცია; თანაბრად არ-მიჩნეული ვარიაცია	2,557	0,118	-,460 -,456						
შუალედური ტესტი 1: თანაბრად მიჩნეული ვარიაცია; თანაბრად არ-მიჩნეული ვარიაცია	0,001	0,973	- 0.458 - 0.458	39 38.807	0,649 0,649	-0,648 -0,648	1,413 1,414	-3,506 -3,508	2,211 2,213

შუალედური ტესტი 2: თანაბრად მიჩნეული ვარიაცია; თანაბრად არ-მიჩნეული ვარიაცია	0,002	0,963	- 2,606 - 2,604	39 38.789	0,013 0,013	-3.471 -3.471	1,332 1,333	-6,166 -6,168	- 0,777 - 0,775
პოსტ-ტესტი: თანაბრად მიჩნეული ვარიაცია; თანაბრად არ-მიჩნეული ვარიაცია	3,53 8	0,067	- 4,094 - 4,055	39 32,985	0,000 0.000	-6,148 -6,148	1,502 1,516	-9,185 -9,232	- 0.110 - 3.063
გადადებული პოსტ-ტესტი: თანაბრად მიჩნეული ვარიაცია; თანაბრად არ-მიჩნეული ვარიაცია	2,457	0.125	- 4,645 - 4,607	39 34.168	0,000 0,000	-7,90 -7,090	1,527 1,539	-10,79 -10.216	- 4,003 - 3,963

ანალოგიურად შევადარეთ ერთმანეთს პირველი და მეორე ექსპერიმენტული ჯგუფები.

ცხრილი 4.5. პირველი და მეორე ექსპერიმენტული ჯგუფი

ჯგუფი	N	საშუალო	სტუდენტა დევიაცია	სტუდენტა საშუალო შეცდომები
პრეტესტი:	19	55,37	4,633	1,063
პირველი ექსპერიმენტული ჯგუფი და მეორე ექსპერიმენტული ჯგუფი	20	55,75	4,833	1,081

შუალედური ტესტი1: პირველი ექსპერიმენტული ჯგუფი და მეორე ექსპერიმენტული ჯგუფი	19 20	60,95 59,60	3,965 4,570	0,910 1,022
შუალედური ტესტი2 ექსპერიმენტული ჯგუფი1 და ექსპერიმენტული ჯგუფი2	19 20	66,74 67,90	4,954 4,315	1,136 0,965
პოსტ-ტესტი ექსპერიმენტული ჯგუფი1 და ექსპერიმენტული ჯგუფი2	19 20	71,89 75,10	4,630 5,675	1,062 1,269
გადადებული პოსტ- ტესტი ექსპერიმენტული ჯგუფი1 და ექსპერიმენტული ჯგუფი2	19 20	70,32 73,90	4,989 5,656	1,145 1,265

საშუალო შედეგები პირველ ექსპერიმენტულ ჯგუფში ($55.37 \rightarrow 60.95 \rightarrow 66.74 \rightarrow 71.89$) იზრდებოდა ტესტიდან ტესტამდე. თუმცა, მეორე ექსპერიმენტულ ჯგუფში ისინი უფრო სწრაფად იზრდებოდა ($55.75 \rightarrow 59.60 \rightarrow 67.90 \rightarrow 75.10$). გადავადებულ ტესტში შედეგებმა მცირედ დაიწია ორივე ჯგუფში, მაგრამ მეორე ექსპერიმენტულ ჯგუფში ისინი ნაკლებად შემცირდა ($75.10 \leftarrow 73.90$), ვიდრე პირველში ($71.79 \leftarrow 70.32$), რაც ამ ჯგუფში მიღებული შედეგების მეტ მდგრადობაზე მეტყველებს.

ცხრილი 4.6. დამოუკიდებელ ნიმუშთა ტესტი (EG1 & EG2)

	ვარიაციების ტოლობის ლევენის ტესტი		ტ-ტესტი საშუალო შედეგების ტოლობაზე						
	F	Sig	t	df	Sig (2 tailed)	საშუალო განსხვავება	სტანდარტული ცდომილებათა სხვაობა	95% ინტერვალი განსხვავებისა	
								ქვედა	ზედა
პრეტესტი:									
თანაბრად მიჩნეული ვარიაცია;	0,152	0,699	-0,251	37	0,803	-0,382	1,517	-3,456	2,693
თანაბრად არ-მიჩნეული ვარიაცია			-0,52	36,996	0,803	-0,382	1,516	-3,453	2,690
შუალედური ტესტი 1:			0,981	37	0,333	1,347	1,373	-1,435	4,130
თანაბრად მიჩნეული ვარიაცია;	0,415	0,523	0,985	36,710	0,331	1,347	1,368	-1,425	4,120
თანაბრად არ-მიჩნეული ვარიაცია									
შუალედური ტესტი 2:									
თანაბრად მიჩნეული ვარიაცია;	0,400	0,531	-0,783	37	0,439	-1,163	1,485	-4,173	1,847
			-0,780	35,720	0,440	-1,163	1,491	-4,187	1,861

თანაბრად არ- მიჩნეული ვარიაცია									
პოსტ-ტესტი: თანაბრად მიჩნეული ვარიაცია; თანაბრად არ- მიჩნეული ვარიაცია	0,794	0,379	-1,927 -1,937	37 36.196	0,062 0,061	-3,205 -3,205	1,633 1,655	-6,576 -6,561	0,165 0,150
გადადებული პოსტ-ტესტი თანაბრად მიჩნეული ვარიაცია; თანაბრად არ- მიჩნეული ვარიაცია	0,313	0,579	-2,094 -2,101	37 36.807	0,043 0,043	-3,584 -3,584	1,711 1,706	-7,052 -7,041	-0,117 -0,127

განსხვავება ორი ექსპერიმენტული ჯგუფის შედეგებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანია მხოლოდ გადავადებულ ტესტში ($\text{sig}=0.043<0.05$), რაც იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ გრძელვადიან პერსპექტივაში ტექნოლოგიების გამოყენებით სწავლისა და ტრადიციული სწავლების შერევის პროპორცია 2/3 უფრო ეფექტურია, ვიდრე 1/3 პროპორცია.

დასკვნები და რეკომენდაციები

1. ინგლისური ენის შესწავლისას კითხვის უნარ-ჩვევების განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია უნივერსიტეტში აკადემიური წარმატებისათვის. იგი სტუდენტებს აძლევს შესასწავლი მასალის უკეთესი გაგების შესაძლებლობას.
2. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტებს შეიძლება განვითარებული ჰქონდეთ კითხვის უნარ-ჩვევები მშობლიურ ენაზე, ინგლისურ ენაზე ტექსტის გაგება

მათთვის რთულია ლინგვისტური და ფსიქოლოგიური კუთხით. თითოეულ ინდივიდუალურ ენის შემსწავლელს კითხვის საკუთარი ტემპი აქვს, რამაც აუდიტორიაში ახალი მასალის შესწავლისას შეიძლება უზარმაზარი პრობლემები გამოიწვიოს, თუ სტუდენტს მოსთხოვენ წაიკითხოს და შეასრულოს კითხვის უნარ-ჩვევების განმავითარებელი დავალებები ყველა შემსწავლელისათვის ერთნაირ მოკლე დროში გაკვეთილის პროცესში.

3. შერეული სწავლა-სწავლება არის ქაღალდზე მოცემული სასწავლო მასალების პირისპირ გამოყენებისა და ონლაინ/ოფლაინ ტექნოლოგია-დახმარებული სასწავლო პროცესის ჰიბრიდი. შერევის პროპორციები განსხვავდება მასწავლებლისა და სტუდენტის ტექნოლოგიური კომპეტენციის, სასწავლო მიზნების, აუდიტორიასა და მის გარეთ ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების გათვალისწინებით.
4. რაც შეეხება პირველ და მეორე დასკვნას, მკვლევარმა წამოაყენა ჰიპოთეზა: შერეული სწავლის გამოყენებას შეუძლია შექმნას უფრო პროდუქტული გარემო კითხვის უნარ-ჩვევების გასავითარებლად და სტუდენტის უნივერსიტეტში ინგლისურად სწავლისთვის მოსამზადებლად.
5. მიუხედავად იმისა, რომ ციფრული ტექნოლოგიები განათლებაში საკმაო ხანია გამოიყენება და ბევრმა მკვლევარმა აღიარა მისი როგორც უპირატესობები, ისე სირთულეები სხვადასხვა პროგრამებსა და საგნებში ცოდნისა და უნარ-ჩვევების დონესთან დაკავშირებით, აღმოჩნდა, რომ აუცილებელია დამატებითი კვლევების ჩატარება. მკვლევარის იდეას წარმოადგენდა ის, რომ შერეული სწავლა აქამდის აღქმულ იქნა ძალიან მარტივად - როგორც სასწავლო მასალების (კონსპექტის, ჰენდაუტების, ფაურ ფონტ პრეზენტაციების, დამატებითი წასაკითხი ტექსტებისა და ა.შ.) მიწოდება სტუდენტისთვის ელექტრონული პლატფორმების საშუალებით. რეალურად, შერეული სწავლების იდეა (განსაკუთრებით, კითხვის სწავლებისას) შეიძლება განვითარდეს უფრო მეტად. დისერტაციაში გაკეთებულია ინგლისურად კითხვის შერეული სწავლის ახალი მოდელის შემუშავების მცდელობა.

6. მკვლევარის მიერ შემოთავაზებული შერეული სწავლების მოდელი (ტრადიციული სწავლებისა და ტექნიკური საშუალებებით სწავლის 1/3 და 2/3 შერევის პროპორციით) დეტალურად წარმოდგენილია მესამე თავში. ენის სწავლების მეთოდოლოგია უნდა გახდეს უფრო სტუდენტზე ორიენტირებული და კონსტრუქტივიზმის იდეებზე დაფუძნებული. სტუდენტებისთვის საჭირო განსხვავებული სწავლის სტილისა და ტემპის გათვალისწინებით, მასწავლებელმა ენის სწავლებისას უნდა გამოიყენოს უფრო კომუნიკაციური მიდგომა, სადაც ტექნოლოგიის გამოყენება მიზნად ისახავს მისცეს სტუდენტს თანამშრომლობის, პრაქტიკისა და მოქნილობის მეტი საშუალება სივრცისა და დროის თვალსაზრისით.
7. კითხვარის შედეგებმა დაადასტურა, რომ სტუდენტები ტექნოლოგიების გამოყენების როგორც აუდიტორიაში, ისე მის გარეთ მომხრენი არიან. მეორე მხრივ, აღმოჩნდა, რომ მასწავლებლები ძირითადად იყენებენ ტექნოლოგიას მხოლოდ სასწავლო მასალების გასაზიარებლად სტუდენტებთან და იშვიათად იყენებენ მას ენის პრაქტიკისთვის. მონაწილეთა (სტუდენტთა) უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მათთვის მოსახერხებელი ტემპით მუშაობა საშუალებას აძლევს მათ უკეთესად გაიგონ წასაკითხი ტექსტი. სტუდენტთა დიდი რაოდენობა სიამოვნებით გამოიყენებდა ტექნოლოგიას კითხის უნარ-ჩვევების განვითარების პროცესში, მაგრამ ისინი მხარს არ უჭერენ მთლიან გადასვლას ონლაინ სწავლაზე. მამასადამე, ჰიპოთეზა დადასტურდა.
8. ექსპერიმენტულად შემოწმდა შერეული სწავლის ის მოდელი, რომელიც შემოთავაზებულ იქნა უნივერსიტეტის სტუდენტთა კითხვის უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მიზნით. მოპოვებული შედეგები სრულიად დამაკმაყოფილებელია. ექსპერიმენტულ ჯგუფებს ასწავლიდნენ შემოთავაზებული მოდელის შესაბამისად - ერთ ჯგუფს 1/3 პროპორციით (1/3 დრო ეთმობოდა ტექნოლოგიების გამოყენებას და 2/3 - ტრადიციულ პირისპირ სწავლებას), მეორეს კი 2/3 პროპორციით (2/3 დრო ეთმობოდა ტექნოლოგიების გამოყენებას და 1/3 - ტრადიციულ პირისპირ სწავლებას), ხოლო საკონტროლო

ჯგუფი მიჰყვა პირისპირ ტრადიციულ პროცედურას ტექნოლოგიის გამოყენების გარეშე. მოპოვებული შედეგები დაემთხვა წინა მკვლევარების დასკვნების, რომლებიც ადასტურებდნენ შერეული სწავლების დადებით გავლენას სტუდენტთა კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებასთან დაკავშირებით (Bataneh & Mayyas, 2017; Ghazizadeh & Fatemipour, 2017; Kheirzadeh & Birgani, 2018). შემჩნეულ იქნა კითხვის უნარ-ჩვევების დონის გარკვეული გაუმჯობესება სამივე ჯგუფში, თუმცა ექსპერიმენტული ჯგუფების სტუდენტებმა გამოავლინეს უფრო მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. პირველი შუალედური ტესტის შედეგების თანახმად, პირველმა ექსპერიმენტულმა ჯგუფმა აჩვენა ცოტათი უფრო მაღალი ნამატი, ვიდრე მეორე ექსპერიმენტულმა ჯგუფმა (EG 1=60.95, EG 2=59.60), თუმცა, მოგვიანებით, მეორე ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტებმა თავიანთი მაჩვენებლები გაზარდეს ტექნოლოგიების გამოყენებით დროის პროპორციულად (EG 1=71.89, EG 2=75.10). უფრო მეტიც, მეორე ექსპერიმენტულმა ჯგუფმა აჩვენა ცვლილებისადმი უფრო მეტი მდგრადობა ექსპერიმენტის დასრულებიდან 2-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ჯგუფების შედეგებს შორის განსხვავება ნაჩვენებია იყო როგორც სტატისტიკურად მნიშვნელოვანი.

9. მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დამოკიდებული ცვლადების (კითხვის უნარ-ჩვევების დონე) ცვლილება გამოწვეული იყო დამოუკიდებელი ცვლადებით (შერეული სწავლების შემოთავაზებული მოდელის არსებობა ან არარსებობა). მკვლევარის ჰიპოტეზა დადასტურებულ იქნა.
10. ორი ექსპერიმენტული ჯგუფის მიერ მიღებული შედეგები არ ყოფილა იმდენად დიდი, როგორც მათ და საკონტროლო ჯგუფს შორის, სტატისტიკური განსხვავება მათ შედეგებს შორის ნაპოვარი იყო მხოლოდ გადავადებულ ტესტებში, რაც იმას ნიშნავს, რომ ორივე პროპორცია (1/3 და 2/3) საკმაოდ ეფექტურია, თუმცა, 2/3 პროპორცია გრძელვადიან პერსპექტივაში უფრო ეფექტურია.
11. ექსპერიმენტის მონაწილეებთან ჩატარებულმა გამოკითხვამ (კითხვარმა) აჩვენა, რომ დამოკიდებულებებ შერეული სწავლის შემოთავაზებული მოდელის გამოყენების მიმართ კითხვის სწავლებისას იყო დადებითი. გამოვლინდა, რომ ექსპერიმენტული ჯგუფების სტუდენტებს აქვთ შერეული სწავლებისადმი უფრო

დადებითი დამოკიდებულება, ვიდრე საკონტროლო ჯგუფის სტუდენტებს. უფრო მეტიც, დადგინდა, რომ ტექნოლოგიების გამოყენება დაეხმარა შემსწავლელებს დაეკმაყოფილებინათ თავიანთი საჭიროებები და მიეღწიათ სასწავლო მიზნებისთვის.

12. კვლევის შედეგებს აქვთ გარკვეული შეზღუდვები. რადგან რესპოდენტები და ექსპერიმენტის მონაწილეები მეტ-ნაკლებად წარმოადგენდნენ იშვიათ უნივერსიტეტების სტუდენტების აზრს, შედეგების განზოგადება შესაძლოა მხოლოდ ამ კონტექსტში. ამასთან ერთად, ექსპერიმენტის ხანგრძლივობა იყო მხოლოდ 1 სემესტრი. უფრო განზოგადებული შედეგების მოსაპოვებლად რეკომენდირებულია უფრო ფართომასშტაბიანი კვლევა.
13. ზემოთ აღნიშნული დასკვნების საფუძველზე, მკვლევარი ინგლისური ენის მასწავლებლებს ურჩევდა დანერგონ შერეული სწავლის მიდგომა კითხვის სწავლებისას და რეკომენდაციას გაუწევდა მათ, ვინც მონაწილეობს გადაწყვეტილებების მიღებაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, უზრუნველყონ ამ მიდგომის მხარდაჭერა.

დისერტაციის მთავარი დასკვნები გამოქვეყნებულია:

1. Ulker, U. (2017). Reading Comprehension Strategies. *International Journal of Social Sciences and Educational Studies*, 4, 3, 140-145.
2. Ulker, U. & Ulker, V. (2016). Psycholinguistic nature of reading skills. In *6th International Research Conference on Education, Language & Literature (IRCEELT)*, p. 185-190. Tbilisi.
3. Ulker, U. (2019). Reading Activities in Blended Learning: Recommendations for University Language Preparatory Course Teachers. *International Journal of Social Sciences and Educational Studies*, 5, 3, 83-94.